მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

# შესაგებელი
# ადმინისტრაციულ საქმეზე

შტამპის ადგილი

საქმე №3/2579-18

ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"
მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)

მერი გულუაშვილი
მოსამართლის სახელი და გვარი

**მოპასუხე:** *შენიშვნა-1*

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო
სახელი, გვარი (სახელწოდება)

პირადი (საიდენ.) ნომერი

ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8
ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2*

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

2 345370
სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

**მოპასუხის წარმომადგენელი:** *შენიშვნა-3*

ელენე კაპანაძე
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

**საკონტაქტო პირი:** *შენიშვნა-4*

ელენე კაპანაძე
სახელი, გვარი

სახლის ტელ.

595515353
მობილური

ელექტრონული ფოსტა

*შენიშვნა-5*

*ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.*

*ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge*

*სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge*



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

# სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*

სახელი, გვარი პირადი ნომერი ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა *შენიშვნა-7*

**ცნობთ თუ არა სარჩელს?**

**დიახ** ☐

**არა** ☒

**ნაწილობრივ** ☐ *შენიშვნა-8*

## მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

*შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11 შენიშვნა-12*

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-6 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება

ა. (დანართი)

მე-7 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება

ა. (დანართი)

მე-8 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება

ა. (დანართი)

## დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

*შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15*

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

**დიახ** ☐ რის საფუძველზე?

**არა** ☒

*შენიშვნა-16*

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

**დიახ** ☐ რის საფუძველზე?

**არა** ☒

*შენიშვნა-17*

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

**დიახ** ☐ რომელი საფუძვლით?

**არა** ☒

*შენიშვნა-18*

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

**დიახ** ☐ რომელი საფუძვლით?

**არა** ☒

*შენიშვნა-19*

## მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

*შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22*

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

არ ვეთანხმებით მოსარჩელე მხარის სასარჩელო მოთხოვნას რომ ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 13 აპრილის N09/641 წერილი (რეალაქტი) და მოპასუხეს - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დაევალოს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2018 წლის 3 აპრილის N04/03-608 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადაცემა.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ 2018 წლის 13 აპრილის გაცემული N09/641 წერილი არ წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში - ადმინისტრაციული კოდექსი) მე-5 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევას, რომელიც ადგენს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რადგან სააგენტოს მიერ დაცულ იქნა ადმინისტრაციული კოდექსის 27 პრიმა მუხლისა და 28-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები პერსონალური მონაცემებისა და კომერციული საიდუმლოების დაცვის თაობაზე.

კერძოდ, ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. ამასთან, ადმინისტრაციული კოდექსის 27 პრიმა მუხლის მიხედვით, პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით.

შესაბამისად, სააგენტომ იხელმძღვანელა რა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული განმარტებით, განსაზღვრა, რომ სააგენტოს უწყებრივი რეესტრი შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ვინაიდან, სააგენტოს კორესპონდენციის რეესტრი შეიცავს შესაბამისი ფიზიკური პირების სახელებსა და გვარებს, პირად ნომრებს, საცხოვრებელ მისამართსა და პირის სხვა მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს, სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას, განეხორციელებინა მოსარჩელე მხარისთვის კორესპონდენციის რეესტრის ადგილზე გაცნობა. შესაბამისად, სააგენტომ შეატყობინა მხარეს აღნიშნული გარემოების შესახებ და შესთავაზა მოემართა კონკრეტული საკითხებით, რომელთა შესახებაც შესაძლებელი იქნებოდა პასუხის მომზადება.

მიგვაჩნია, რომ სააგენტოს აღნიშნული წერილი არ წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას, რომელიც ადგენს, რომ ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება,რომელიც მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები. რადგანაც ასევე ადგენს ამ თავისუფლებათა განხორციელების შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა, თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად.

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოში წარმოებული ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში მოცემულია ისეთი მასალები, რომლებიც შეიცავენ სააგენტოს მომსახურებით დაინტერესებული პირების და სააგენტოს თანამშრომლების პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც მათი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა (სახელები, გვარები, მათი საიდენტიფიკაციო ნომრები, საცხოვრებელი ადგილის მისამართები და სხვა), რაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დაცული უნდა იყოს გამჟღავნებისგან.

ასევე, სააგენტოს აღნიშნული წერილი არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლების დარღვევას, რომლის თანახმად ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით, რადგანაც ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად აღნიშნული უფლებების განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად.

სააგენტოს ასევე არ ეთანხმება მტკიცებას, რომ გასაჩივრებული წერილი წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას, რომლის თანახმად საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი აწესებს მოთხოვნის უფლებას იმ პირთათვის, რომლებსაც სურთ მათზე არსებული ინფორმაციის გაცნობა. შესაბამისად, აღნიშნული განმარტება არასწორია და არ ესადაგება მოცემულ სიტუაციას.

სააგენტო 2018 წლის 13 აპრილის N09/641 წერილში უთითებს, რომ სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას ადგილზე გაგაცნოთ მთლიანი კორესპონდენციის რეესტრი, კომერციული



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

საიდუმლოების და პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, თუმცა ასევე უთითებს, რომ თუ კონკრეტულ ინფორმაციას მოითხოვდნენ სააგენტო მზად იყო მიეწოდებინა მათთვის მოთხოვნილი კონკრეტული ინფორმაცია.

აქედან გამომდინარე, სააგენტომ გამოხატა მზაობა კონკრეტული ინფორმაციის გაცემაზე და ეს არ წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარს. სააგენტო ყოველთვის ღიაა საჯარო ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით და თანამშრომლობს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივასთან", ამას მოწმობს მრავალი გაგზავნილი საჯარო ინფორმაცია აღნიშნულ ორგანიზაციასთან.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

## მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-23

| | |
|---|---|
| მოწმე | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| ექსპერტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| სპეციალისტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |

შენიშვნა-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.

1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შენიშვნა-27

## სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

**დიახ** ☐ რის საფუძველზე?

**არა** ☒

შენიშვნა-29

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

**დიახ** ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

**არა** ☒



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

**დიახ** ☐ მორიგების პირობები:

**არა** ☒ რადგან

*შენიშვნა-30*

## თანდართული საბუთების ნუსხა

*შენიშვნა-31* *შენიშვნა-32*

ფურცლების საერთო რაოდენობა:

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გა ეშე?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

*შენიშვნა-33*

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

ძ-ზე მეტ სხდომაში რადგან

*შენიშვნა-34*

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

*შენიშვნა-35*

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე დროის ოპტიმალური შუალედი: 10:00 - 14:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

*შენიშვნა-36*

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ!**
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და [illegible] საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შე[illegible]ილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი [illegible]ითება.

გრიგოლ კაკაურიძე 25/06/2018 წ.

ხელმოწერა ხელმომწერის სახელი, გვარი შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის [illegible] მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.